ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 41-30

"19" აპრილი 2019 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა" (ს/კ 202058520) ლიკვიდაციის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, „ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრების, საკლუბო დაწესებულებების (კულტურის სახლები), მუზეუმებისა და სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი კოლექტივების განსაზღვრის წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ივლისის N131 დადგენილების საფუძველზე და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის" (ს/კ 202058520) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსაგან თანხმობის მიღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 აპრილის N19.404.530 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

განხორციელდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა" (ს/კ 202058520) ლიკვიდაცია.

მუხლი 2.

დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის" (ს/კ 202058520) ლიკვიდაციასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანვე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე